პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 16 აგვისტო, 1944 წ. № 166 (7109). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მოსავლის აღების მთავარი ამოცანები. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 15 აგვისტოს ოპერატიული ცნობა. (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო. მოწინააღმდეგის ზარალი და უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების ნადავლი ამა წლის 13 ივლისიდან 12 აგვისტომდე წარმოებული შეტევითი ოპერაციების განმავლობაში. (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბელორუსიის პარტიზანებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. (1-ლი გვერდი).

ი. გრიბოედი. ბრძოლები მადონისათვის. (1-ლი გვერდი).

უცხოეთის ამბები: მოკავშირეთა ჯარების გადასხდომა საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე. მდგომარეობა სამხრეთ საფრანგეთში — მოკავშირეთა ჯარების გადასხდომის რაიონში. სამხრეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების გადასხდომის ოპერაციების დაწვრილებითი ცნობები. გენერალ ვილსონის მიმართვა საფრანგეთის მოსახლეობისადმი. მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა. საომარი მოქმედება იტალიაში. მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა ბერლინზე. (1-ლი და მე-2 გვერდი).

მოსავლის აღების მთავარი ამოცანები

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ 1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. ამ ბრძანული დადგენილების განსახორციელებლად სასოფლო-სამეურნეო სოფლებში გაჩაღებულია დიდი მუშაობა. დღითი-დღე ძლიერდება მოსავლის აღების ტემპები. მოწინავე კოლმეურნეობები მაქსიმალურად იყენებენ შინაგან რესურსებს, მობილიზაციას უკეთებენ მთელ ძალებს, სწრაფად, უდანაკარგოდ იღებენ მოსავალს და პირნათლად იხდიან თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე.

მოსავლის აღების სამუშაოები საქართველოში გადამწყვეტ პერიოდში შევიდა. კიდევ უფრო მაღლა ფრიალებს სოციალისტური შეჯიბრების დროშა გამარჯვების მოსავლისათვის. თელმა რიგმა რაიონებმა მოსავალი წელს უფრო ორგანიზებულად აიღეს, ვიდრე შარშან.

მოსავლის აღება ყველგან ერთნაირად როდი მიმდინარეობს, განსაკუთრებით დაბალია ტემპები მთიანი რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში. ბაშკიჩეთის, ახალქალაქის, წალკის, სპინძისა და ბორჯომის რაიონებს დასჭირდებათ უფრო დაძაბული მუშაობა პურეულის შემჭიდროებულ ვადებში ასაღებად.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომბაინებით მოსავლის აღებას. ხაშურის, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, ყარაიის, ბორჩალოსა და ბოლნისის რაიონებმა გადაჭარბებით შეასრულეს კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა. მაგრამ არის ფაქტები, როდესაც კომბაინები სრულად არ არის დატვირთული. ზოგან თავს არ იწუხებენ კომბაინების მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. ქარელის რაიონში ვხვდებით კომბაინების მოცდენის ფაქტებს იმის შედეგადაც, რომ დროულად არ მიიღეს ზომები, საწვავსაცხები მასალის მოსამარაგებლად. ზოგან პარტიის რაიონული კომიტეტები არასაკმაო ყურადღებას აქცევენ კომბაინების მთელი პარკის მაქსიმალურად გამოყენებას. განა შესაწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც გორის რაიონს კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა ჯერ კიდევ არ შეუსრულებია? კიდევ უფრო ჩამორჩა ამ მხრივ კასპის რაიონი, რომელსაც 10 აგვისტოსათვის კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 28,8 პროცენტით.

მოსავლის წარმატებით აღების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მარტივი მანქანების მთლიანად გამოყენება. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ეს მარტივ მანქანებს არასაკმაოდ იყენებენ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულია დანაკარგებთან ბრძოლის ღონისძიებათა მთელი სისტემა. მოწინავე კოლმეურნეობები წარმატებით ახორციელებენ ამ ღონისძიებებს. მაგრამ არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებიც დანაკარგებთან ბრძოლას ყურადღებას არ აქცევენ. დუშეთის რაიონის ბაზალეთის, ჭადიჯვრისა და ციხისუბნის კოლმეურნეობებში მინდვრად დარჩენილ თავთავებს არ აგროვებენ. ასევე მდგომარეობაა გორის რაიონის სოფელ ნადარბაზევისა და ქარელის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობებში. როგორც სჩანს, აღნიშნულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს არ ესმით მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლის მთელი მნიშვნელობა. რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების ვალია მეტი ყურადღება მიაქციონ ასეთ კოლმეურნეობებს, გააძლიერონ პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა, მიიღონ ყველა ზომა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

აუცილებელია მოხერხებულად შეკვთავსოთ მოსავლის აღების ყველა სამუშაო — დაწყებული მკით და დამთავრებული პურის გადაზიდვით ბეღლებსა და მიმღებ პუნქტებში. ერთი რომელიმე სახის სამუშაოს დაგვიანება იწვევს მოსავლის აღების გახანგრძლივებას, დანაკარგებს. მოსავლის აღების ტემპების გაძლიერებასთან ერთად საჭიროა ლეწვის დაჩქარება, სალეწი მანქანების სრული დატვირთვით გამოყენება. ამჟამად ბევრ. კოლმეურნეობაში და რაიონში ლეწვა ძლიერ ნელა მიმდინარეობს. ასეა, მაგალითად, თელავის, გორის და კასპის რაიონებში. აღნიშნული რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ლეწვის დასაჩქარებლად.

დადგენილება 1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ სპეციალურად მიგვითითებს, რომ მოეწყოს მოსავლის უსასტიკესი აღრიცხვა და დაცვა აღების, ლეწვისა და გადაზიდვის დროს. ამ მითითების განსახორციელებლად ზოგან ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ. იქ, სადაც მოწყობილი არ არის მოსავლის დაცვა, იქმნება პირობები ხორბლის განიავება-დატაცებისათვის. კასპის რაიონის სოფელ ოკამის კოლმეურნეობა „განთიადში“ პური კალოდან აუწონავი მიაქვთ საწყობში. ასეთი ფაქტები აქ გამონაკლისი როდია. ქარელის რაიონის სოფელ წინაუბნის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში“ ადგილი აქვს პურეულის დატაცებას. თეთრი წყაროს რაიონის კოდის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში იყო შემთხვევები, როდესაც მინდორში არ სწონიდნენ მარცვლეულს და იგი საწყობში მიტანამდე იკარგებოდა. ის, ვინც ანიავებს სოციალისტურ საკუთრებას, ზიანს აყენებს კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და სახელმწიფოს. გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებასთან, მათ განიავებასა და დატაცებასთან.

მოსავლის ორგანიზებულად აღებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის სწორ ორგანიზაციას. კარგად იქცევიან მოწინავე კოლმეურნეობები, როდესაც მოსავლის აღებისა და სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში პროდუქტების გაზიდვისას იყენებენ ინდივიდუალურ და წვრილ-ჯგუფურ (რგოლურ) სანარდო მუშაობის სისტემას. გამოცდილებამ დაამტკიცა ამ სისტემის უპირატესობა და ამიტომ საჭიროა ფართოდ დავნერგოთ იგი მკის, ძნების შეკვრის, დაწყობისა და გადაზიდვის ხელის სამუშაოებში, თავთავების მოფოცხვისას, აგრეთვე მარცვლეულის წმენდისა და მარცვლეულის გაზიდვისას.

მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ აღება, გულმოდგინედ დაცვა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმების თავის დროზე შესრულება — უმნიშვნელოვანესი საერთო-სახალხო საქმეა. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მთელი ძალები და საშუალებანი წარმართულ უნდა იქნას ამ ამოცანის ბრწყინვალედ შესრულებისაკენ. ამას მოითხოვენ საბრძოლოსა და ფრონტის ინტერესები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

**15 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ პეტსერის (პეჩორის) ჩრდილოეთითა და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მათ შორის ვიკიტომი

ვ. ბაქრაძის სახელობის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მქსოველი ორდენოსანი ელენე ჯანელიძე.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი მჭედელი, ორდენოსანი კოსტა ილურიძე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრების გაშლის შემდეგ

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკა ყოველთვიურად ვადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. განსაკუთრებული წარმატებები ჰქონდა ფაბრიკას ივნისში (დავალება 114,3 პროცენტით შეასრულა), ამ თვეში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 16,4 პროცენტით. გაწეულია დიდძალი ნედლეულისა და ელექტროენერგიის ეკონომია. ფაბრიკამ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა და 30.000 მანეთი პრემია მიიღო.

ფაბრიკა არ დაკმაყოფილდა მიღწეული წარმატებებით, ივლისში გეგმა შესრულებულია 118,4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 21,8 პროცენტით, დაზოგილ იქნა 2.453 მეტრი ქსოვილი. ფაბრიკის ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც სტახანოველი ეგენინა მანჯგალაძე ხელმძღვანელობს, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჟიურის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა.

მანჯგალაძის ბრიგადაში მაისსა და ივნისში 36 კაცი მუშაობდა. ამჟამად კი 32 კაცი წარმატებით ასრულებს დავალებებს. ბრიგადაში ყველა სტახანოველია. მათ შორის ს.აბულაძე, ფ. აბსადაზაშვილი, ს. მურადოვა, ნ. ძიძიგური და სხვ. ვეგმას დღეში 200-300 პროცენტით ასრულებენ.

საამქროებს შორის პირველობა ივლისში კვლავ პირველმა საამქრომ (უფროსი ს. კიკნაძე) მოიპოვა. კარგად იმუშავა აგრეთვე მეორე საამქრომ, რომელსაც წარჩინებული მკერავი მ. ჩიკაძე ხელმძღვანელობს. მან ივლისის გეგმას 16 პროცენტით ვადაჭარბა ნედლეულის მნიშვნელოვან ეკონომიას მიაღწია.

ფაბრიკის წარმატებებმა განსაკუთრებით მას შემდეგ იმატა, რაც აქ ფართოდ დაინერგა სოციალისტური შეჯიბრება პროფესიათა მიხედვით. ასე, მაგალითად, მაისში გეგმას ვერ ასრულებდა 103 მუშა. პროფესიების მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად ივნისში ეს რიცხვი 75-მდე შემცირდა, ხოლო ივლისში არც ერთი მუშა არ არის ჩამორჩენილი.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმას ვერ ასრულებდა მესამე საამქრო (უფროსი ა. კვაცაძე). პროფესიების მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების გაშლამ საამქრო გამოაცოცხლა. ივნისში დავალება საამქრომ გადაჭარბებით გაანაღდა, ხოლო ივლისის გეგმა 112 პროცენტით შეასრულა.

ფაბრიკაში პროფესიათა შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას პარტორგანიზაცია და საფაბრიკო კომიტეტი კარგად ხელმძღვანელობენ. საამქროებში გამოყოფილი ჰყავთ სპეციალური აღრიცხველები, რომლებიც ყოველდღიურად აჯამებენ თვითეული მუშის ნამუშევარს და აქვეყნებენ მას. აღრიცხვის ასე დაყენებამ დიდად შეუწყო ხელი ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ფაბრიკაში პროფესიების მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების შედეგად ივლისში საუკეთესო მკერავის სახელწოდება მოიპოვეს ა. აკოფოვამ, ვ. სხირტლაძემ, ნ. გოგოლაძემ, ვ. რამიშვილმა, ს. გოცირიძემ და მ. მახინაძემ.

ა. შარვანიძე

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა სარესპუბლიკათშორისო თათბირი

გუშინ, 15 აგვისტოს თბილისში გაიხსნა საბჭოთა კავშირის სამხრეთის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სომომხმარებლო კოოპერაციის კავშირთა წარმომადგენლების სარესპუბლიკათშორისო თათბირი.

თათბირი გახსნა „ცენტროსოიუზის" წარმომადგენელმა ამხ. რიბაკოვმა. ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გასადიდებლად გაწეული მუშაობისა და ამ საქმეში დაგროვილი გამოცდილების შესახებ თათბირის პირველ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდნენ: ცენტკავშირიდან ამხ. ბიკაშვილი, „აზერტიფაკიდან" (აზერბაიჯანის სომომხმარებლო კოოპერაციის კავშირი) ამხ. ეფენდიევი, სტავროპოლის მხარის სომომხმარებლო კოოპერაციის კავშირიდან ამხ. ეროგინი.

სარესპუბლიკათშორისო თათბირს ესწრებიან საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების, დაღისტნის ასსრ, გროზნოს ოლქის, სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეების სომომხმარებლო კოოპერაციის კავშირთა წარმომადგენლები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზ. კეცხოველი.

სარესპუბლიკათშორისო თათბირის გახსნის დღისათვის ცენკავშირის კლუბის დარბაზსა და ფოიეში მოეწყო სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოთა და სახელოსნოთა მიერ დამზადებული ფართო მოხმარების საქონლის ნიმუშთა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ექსპონატები თათბირის მონაწილე ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის სომომხმარებლო კოოპერაციის კავშირების მიერ.

განსაკუთრებით ვრცლად არის ნაჩვენები გამოფენაზე საქართველოს სომომხმარებლო კოოპერაციის ნამუშევარი. მნახველთა ყურადღებას იპყრობს საქართველოს რაიკოოპკავშირების მიერ მოწყობილ სახელოსნოებსა და საწარმოებში ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული ფართო მოხმარების საქონელი — კერამიკა, ჭურჭლეული, ფეხსაცმელი, ადგილობრივ დამზადებული ტყავეული, ნაბდები, ქუდები, ხელსაწყო-იარაღები და სხვ. ფართო მოხმარების საქონლის მრავალფეროვანი ნიმუშებია წარმოდგენილი აკარიდან, „ფეხაზეთიდან, სამხრეთ-ოსეთიდან, ბორჯომიდან, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, ზოლნისის, ბორჩალოს, ვანის, ონის, ბაშკიჩეთის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, ხობის, სამტრედიის, კასპის, ხაშურის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ბორჯომის, თელავის, სილნაღის, ქუთაისის და წულუკიძის რაიონებიდან.

ვრცლად არიან აგრეთვე წარმოდგენილნი აზერბაიჯანი, სომხეთი, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, გროზნოს ოლქი და დაღისტნის ასს რესპუბლიკა.

მომზადებული შევხვდეთ შაქრის ჭარხლის აღებას

კასპი („კომუნისტის" სპეციალური კორეს. პონდენტისაგან). შაქრის ჭარხლის ნათესებს მოგლას წელს დიდი ყურადღება ექცევა. ამის შედეგად რაიონში საშუალოდ ჰექტარზე 200 ცენტნერ შაქრის ჭარხალს მოელიან.

წარმატებით მუშაობენ მეჭარხლე კოლმეურნეები. სოფელ ლამისყანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა შ. ბეგიაშვილმა წელს მეჭარხლეობა თათბირზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს სიტყვა მისცა — ჰექტარზე აიღოს 1.200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ის წარმატებით იბრძვის ამ ვალდებულების შესასრულებლად.

კასპის კოლმეურნეობა „ძმობაში" სტახანოველმა ს. ღვინიაშვილმა მასზე მიმაგრებულ ერთ ჰექტარ ნათესში 80 ტონა ნაკელი, 2 ტონა ნაცარი და საკმაო რაოდენობის კალიუმის მარილი შეიტანა, უზრუნველჰყო ყველა სამუშაოს თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულება. ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად ს. ღვინიაშვილის ჭარხლის ნათესი საუკეთესოდ გამოიყურება. ჰექტარზე აქ 600 ცენტნერს ვარაუდობენ, მაგრამ მთლიანად კასპის კოლმეურნეობა „ძმობამ" ვერ უზრუნველჰყო ნათესების სათანადოდ მოვლა. კოლმეურნეობის 30 ჰექტარ შაქრის ჭარხლის ნათესიდან 26 ჰექტარამდე მოუვლელია. გარდა იმისა, რომ საკმაო რაოდენობით არ შეიტანრიათ ნაკელი, დაგვიანებულ გაფხვიერება, გამოხშირვა, გათოხნა.

პლანტაციებში გათვალისწინებულ 100-110 ათასი ძირის ნაცვლად ჰექტარზე 60-70 ათასი ძირი ჭარხალია და მოუვლელობის გამო ისიც არ არის კარგად განვითარებული. ყველაზე მეტად ჩამორჩენილია მესამე ბრიგადა (ბრიგადირი ი. ბაინდურაშვილი, მერგოლური. ტ. გუდარაშვილი), რომელსაც ჭარხლის ნათესში არ შეუტანია არც ერთი კილოგრამ ნაკელი, გააჭიანურა ყველა სხვა სამუშაოს შესრულება და ნაკვეთი სანახევროდ მოაცდინა.

რაიონში დაწყებულია მზადება შაქრის ჭარხლის მოსავლის ასაღებად. კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ძველი ურმების შეკეთება და ახალი ურმების მომზადება, წესრიგში მოჰყავთ გზები, ხიდები და სასწორები, იმარაგებენ ჭილობებს. სოფელ ზოკალეს კოლმეურნეობა „წითელმა კოლმეურნემ" (თავმჯდომარე გ. ჯარანაშვილი) გეგმით გათვალისწინებული 8 ურმის ნაცვლად გაკეთა 16 ახალი ურემი, ხოლო სოფელ ახალციხის კოლმეურნეობამ 10-ის ნაცვლად — 30 ურემი.

სექტემბრის შუა რიცხვებიდან კასპის რაიონში გაჩაღდება შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება.

არ შევანელოთ ყურადღება ჭარხლის ნათესების მოვლისადმი და საუკეთესოდ მოვიმზადოთ მოსავლის ასაღებად. — ასეთია ამოცანა.

ტრ. თოდრაძე

გაჩდამავალი წითელი დროშის გადაცემა

ქუთაისი („კომუნისტის" სპეც. კორ.). სოფელ მუხაესტატეს კოლკავშირის სახელობის კოლმეურნეობა გამარჯვებული გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში. მან წელს ს. ბაზაფხულო თესვის გეგმა გადაჭარბებით მოამზადა. ამის გამო კოლმეურნეობას მიეკუთვნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ დღეებში შესდგა კოლმეურნეთა საერთო კრება. კოლმეურნეობის დროშა გადასცა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. გ. ალავიძემ.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე მენალარაშვილი, ბრიგადირი ძიძიგური, კოლმეურნეები შ. ვასაძე, ვ. მენალარაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. თხილიანი.

დღეფეფები

მოკავშირეთა ჯარების გადასხდომა საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობას, რომელშიც ნათქვამია:

„დღეს ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებმა მოკავშირეთა სამხედრო-საჰაერო ძალების ძლიერი დახმარებით დაიწყეს გადასხდომა საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე. ჯარები გადადიან ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ნომალდებიდან".

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბიდან მიღებულ ამერიკის რადიოცნობას იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა ჯარები სამხრეთ საფრანგეთში დესანტის გადასხმის დროს მინიმალურ წინააღმდეგობას შეხვდნენ. პირველი ობიექტები მიღწეულ იქნა ერთ საათზე ნაკლებ ხანში. ნაპირზე გადასხდა 7 ეშელონი ქვეითი ჯარი ორ საათზე — ნაკლები ხნის განმავლობაში. განთიადის წინ სანაპიროს სიღრმეში ორ მილზე მდებარე ტერიტორიაზე გადასხდნენ საპარაშუტო-სადესანტო ჯარები.

მდგომარეობა სამხრეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების გადასხდომის რაიონში

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ სამხრეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების გადასხდომის ოპერაციათა მასშტაბი უფრო დიდი იყო, ვიდრე ნორმანდიაში გადასხდომის ოპერაციათა მასშტაბი.

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი ბრაუნი, რომელიც იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბთან იმყოფება, ვადმოგვცემს, რომ მოკავშირეთა ჯარები გადასხდნენ რამდენიმე პუნქტში ფართო სანაპირო ფრონტზე. ტერიტორია, რომელზეც მოკავშირეები გადასხდომას ახდენენ, წარმოადგენს ნიცასა და მარსელს შუა მანძილის ერთ-ერთ ყველაზე ნაწილს.

იტალიაში მიღებული პირველი ცნობების თანახმად გადასხდომის ოპერაციები განსაკუთრებული წარმატებით ვითარდება. გერმანიის სანაპირო ბატარიების ზურგში დიდი საჰაერო დესანტები ჩამოსხეს.

სულ გადასხმულია 14.000 პარაშუტისტი.

სამხრეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების გადასხდომის ოპერაციების დანვრილებითი ცნობები

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო (საკდესი). ოუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რომიდან იუწყება, რომ, სამხედრო მიმომხილველთა აზრით, სამხრეთ საფრანგეთში გერმანელთა განკარგულებაშია მინიმუმ 4 და მაქსიმუმ 7 დივიზია, ტანკების შეზღუდული რაოდენობა და ავიაციის სრულიად უმნიშვნელო ძალები.

კორესპონდენტის ცნობით, სამხრეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის ოპერაციებში მონაწილეობდა მოკავშირეთა ყველა ტიპის 800 ხომალდი, მათ შორის ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, კანადის, ჰოლანდიისა და სხვ.

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო (საკდესი). რადიომაუწყებელ კომპანია კოლუმბიის კორესპონდენტი, რომელიც სადესანტო გემზე იმყოფება, იუწყება, რომ სამხრეთ საფრანგეთში დესანტები გადასხა გემების სამმა დიდმა ქარავანმა, რომლებიც 15 აგვისტოს დილაადრიან შეერთდნენ. ეს გემები გავიდნენ იტალიის, ამერიკისა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულების მრავალი ნავსადგურიდან. ოპერაციებში მონაწილე სატრანსპორტო თვითმფრინავები წინააღმდეგობას არ შეხვედრიან ტრის ავიაგამანადგურებლების მხრივ.

გენერალ ვიღსონის მიმართვა საფრანგეთის მოსახლეობისადმი

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების ომაღლესმა მთავარსარდალმა გენერალმა ვილსონმა დღეს დილით თავის შტაბრიგადაში რადიოთი საფრანგეთის მოსახლეობისადმი განაცხადა:

„მოკავშირეთა არმიები სამხრეთ საფრანგეთში გადმოსხდნენ. მთი მიზანია განდევნონ გერმანელები და შეუერთდნენ მოკავშირეთა არმიებს, რომლებიც ნორმანდიიდან მოიწევენ. საფრანგეთის ძალები მონაწილეობას იღებენ ამ ოპერაციებში თავიანთ მ[illegible]ურეებისა და თანამოიარაღე ძმების ეხარდამხარ, რომელნიც იბრძვიან ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში.

საფრანგეთის არმია კვლავ ცოცხლობს. იგი კვლავ იბრძვის თავის საკუთარ მიწა-წყალზე, რათა გაათავისუფლოს თავისი ქვეყანა მთელი მისი სახელოვანი ტრადიციებით. მოიგონეთ 1918 წელი. ყველა ფრანგმა, როგორც მშვიდობიანმა მცხოვრებმა, ისე სამხედრომ, ზონაწილეობა უნდა მიიღოს სამხრეთში წარმოებულ კამპანიაში. თქვენ მიიღებთ მითითებას, თუ რა გევალებათ. უსმინეთ მოკავშირეთა რადიოს, იკითხეთ პლაკატები და ფურცლები. სიტყვიერად გადაეცით ერთმანეთს ინსტრუქციები.

დავამთავროთ ბრძოლა რაც შეიძლება მალე, რათა მთელ საფრანგეთს კვლავ შეეძლოს დაუბრუნდეს თავის თავისუფალ ცხოვრებას და რათა დადგეს მშვიდობიანობა და უშიშროება, გამარჯვება უზრუნველყოფილიქნეს გაუმარჯოს საფრანგეთის მებრძოლ სულს, და იმ მიზნებს, რომლებისთვისაც იგი იბრძვის!"

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შეტყობინება

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

14 აგვისტოს მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ფალეზ-არჟანტანის რაიონის კორიდორის ორივე მხარეზე. მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც ფალეზისაკენ უტევენ ჩრდილოეთიდან, მალე მიაღწიეს თავიანთ პირველ ობიექტებს. ვით გადალახეს მდინარე ლეზონი და ამჟამად მტკიცედ გამაგრდნენ ქალაქიდან 6-ზე მეტ კილომეტრ მანძილზე. კორიდორის მეორე მხარეს მოკავშირეთა ჯარები, რომელნიც ლე-მანისა და ალანსონის ჩრდილოეთით მიიწევდნენ, არჟანტანს მიადგნენ. წინააღმდეგობის კერებს, რომლებიც უკან მოვიტოვეთ ალანსონის ახლო მდებარე რაიონში, ამჟამად ვალწმობთ.

ნორმანდიაში შექმნილი ტომრის შიგნით მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს. მდინარეებს ლოზსა და ორნს შუა მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარების ბოლო რაზმებმა წინ წაიწიეს დაახლოებით 4,5 კილომეტრზე. მდინარე ორნის ხეობაში მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია ტიური-არტური. სხვა ნაწილები უტევენ ვირიდან სამხრეთის მიმართულებით, გატეგმო-ტენშებრეს გზის გაყოლებით, ამასთან არცთუ ძლიერ წინააღმდეგობას ხვდებიან მტრის მხრივ.

ჯარებმა, რომლებიც მორტენიდან აღმოსავლეთისაკენ უტევენ, ფერს მიაღწიეს. ჩვენი კოლონები, რომლებიც ბარანტონის რაიონიდან ტომრის სამხრეთი საზღვრის გაყოლებით მიიწევენ, დომფრონს უახლოვდებიან. ნაწილები, რომლებმაც რანს მიაღწიეს, მტრის გაძლიერებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

ბრეტანში კვლავ გრძელდება ბრძოლები ლე-მალოს რაიონში, სადაც მდგომარეობა არ შეცვლილა, აგრეთვე დინარში, სადაც მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ნავსადგურისაკენ. ბრესტისა და ლორიანის რაიონში ცვლილება არ მომხდარა.

ზედიზედ მესამე დღეა კარგი ატმოსფერული პირობების გამო მოკავშირეების ყველა ტიპის თვითმფრინავთა დიდი შენაერთები ბომბავდნენ გერმანიის ჯარებს ნორმანდიის ტომრის რაიონში. აგრეთვე თავს ესხმოდნენ აეროდრომებს, ხიდებსა და კომუნიკაციებს მთელ მანძილზე დასავლეთ გერმანიიდან ბორდომდე, ამასთან ფაქტიურად წინააღმდეგობას არ შეხვედრიან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა „ესპანეთის თავისუფლებისათვის ბრძოლის კომიტეტი"

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო (საკდესი). 100-მდე გამოჩენილმა მოღვაწემ, მათ შორის მწერლებმა, სამმა ეპისკოპოსმა, 21 მღვდელმა, შეიქმნა „ესპანეთის თავისუფლებისათვის ბრძოლის ამერიკული კომიტეტი". ეს კომიტეტი მიზნად ისახავს ჰიტლერ დაუჭიროს რეზოლუციას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრმა კოფიმ შეიტანა კონგრესში და რომელიც მოითხოვს, რომ გაწყვეტილ იქნას ურთიერთობა ფრანკოსთან და ესპანეთის არალეგალურ მოძრაობას დახმარება გაეწიოს საჭიროების სესხად ან ოჯარით გადაცემის კანონის მიხედვით.

საქ. რეგიონში

საქ. ჯავშირეთა ჯარების გადასხდომა

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). ოუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რომიდან იუწყება, რომ, სამხედრო მიმომხილველთა აზრით, სამხრეთ საფრანგეთში გერმანელთა განკარგულებაშია მინიმუმ 4 და მაქსიმუმ 7 დივიზია, ტანკების შეზღუდული რაოდენობა და ავიაციის სრულიად უმნიშვნელო ძალები.

კორესპონდენტის ცნობით, სამხრეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის ოპერაციებში მონაწილეობდა მოკავშირეთა ყველა ტიპის 800 ხომალდი, მათ შორის ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, კანადის, ჰოლანდიისა და სხვ.

ინგლისელ ფეოდალთა ბრძოლა ინდოეთის ეროვნული ბანკის ოქროს ფასეულობათა ნაწილზე

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო (საკდესი). ინდოეთის ეროვნული ბანკის ოქროს ფასეულობათა ნაწილზე ინგლისელ ფეოდალთა ბრძოლა